<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის შესახებ

საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას, როგორც ორ მეგობარ ქვეყანას, შორის ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო ასპარეზზე და საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ორგანოებში მათი ინტერესების შესაბამისად საქმიანობის კოორდინაციის და ამ ქვეყნების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით საქართველოს პარლამენტი გამოხატავს საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის ნებას და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 251-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ადგენს:

1. განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის უზრუნველსაყოფად.
2. განისაზღვროს საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვოლსკი გიორგი (დელეგაციის ხელმძღვანელი) – ფრაქცია „ქართული ოცნება“;
ბ) აბესაძე ირაკლი – ფრაქცია „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“;
გ) ბეგაძე გიორგი – ფრაქცია „ქართული ოცნება – მწვანეები“;
დ) ბოკუჩავა თინათინი – ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“;
ე) გოგუაძე ნინო – ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“;
ვ) ენუქიძე გოჩა – ფრაქცია „ქართული ოცნება – ძლიერი ეკონომიკა“;
ზ) კაპანაძე სერგი – ფრაქცია „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“;
კ) ლომია გიორგი – ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“;
თ) მაჭავარიანი ენძელა – ფრაქცია „ქართული ოცნება“;
ი) სამხარაული გელა – ფრაქცია „ქართული ოცნება“.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

ქუთაისი, 2018 წლის 20 აპრილი.

№ ------ – IIს